

საქართველი

საორტული გაზეთი

შაბათი 24 მაისი 2003 №94 (1865)

ფასი 50 თეთრი

გლატერის სხე
საქართველოში

ფეხბურთის
პრობლემატის
ათასი
THANK YOU



აგლომერატიონი ფეხბურთის
პრობლემატის

ქართველებს საგლატერო მიეცათ

ძალიან ძველი ძველ დედამამაში და ახალი მადლოვა



შიშას პრეზიდენტი ზემ ბლატერი თბილისშია. მისი კერძო თვითმფრინავის აეროპორტში დაშვება და თავსხმა ერთი იყო. ფეხბურთის მამა ექვსი საათისთვის ერეგნიდან ჩამოფრინდა.

ზემ ბლატერის თანხლები დელეგაცია სულ ათიოდე კაცს ითვლიდა. მათ შორის იყო ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადკო მარკოვიჩი. საპატიო სტუმარს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიას, გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია და სხვა ჩინოსნები შეეგებნენ. იყო მოკითხვა და რევერანსები, თუმცა წუთით და არა ისე, რო-

გორც ფიფას პრეზიდენტს ეკადრება — მასპინძლებმა ბლატერი ქართულ თავსხმას სწრაფად გაარიდეს და ვიპთა ლოჯას შეაფარეს. ორიოდ წუთიც და ზემ ბლატერის მომლოდინე „მერსედესი“ სახელმწიფო კანცელარიისკენ დაიძრა — ფეხბურთის პრეზიდენტი ქვეყნის პრეზიდენტს ეწვია. პრეზიდენტების შეხვედრა პროტოკოლით ნახევარსაათიანი უნდა ყოფილიყო, თუმცა საათამდე კი გაგრძელდა. ელუარდ შევარდნაძემ ბლატერი ღირსების ორდენით დააჯილდოვა. მათი საუბრის შინაარსი ჩვენთვის უცნობი დარჩა, პრეზიდენტის პრესსამსახურმა „სარბიელისთვის“ საშუაო თუ აკრედიტაცია არ გაიმეტა...

ზემ ბლატერმა ცოტა ხანს სასტუმრო „მარიოტში“ მოისვენა და მერე თანხლები პირებთან ერთად მცხეთაში, ელგუჯა ბუბუტიშვილის მამულში წაიფანეს. აბა, იქ იყო თუ იყო — ფიფას პრეზიდენტი აღფრთოვანებას ვეღარ ფარავდა — გაოცებული თვალები, გაშლილი ხელები, THANK YOU, THANK YOU — ყოველ წინადადების ბოლოს ბლატერი მადლობად იღვრებოდა და ეს მის გამომეტყველებაზეც იკითხებოდა. მადლობა მხოლოდ ტაქტი არ იყო, ალაღი მადლობა იყო.

სამფლობელოს ალაყაფთან ზემ ბლატერს ელგუჯა ბუბუტიშვილი შეეგება. მერაბ ჟორდანიას სტუმარს იქვე მღებარე მინი-მოედნისკენ წარუძღვა. გზად

კი მომდერალთა გუნდმა „მრავალფაზიური“ დაგუგუნა. ბლატერის სახე მეტყველი იყო — ის ასეთ მასპინძლობას არ ელოდა. ფიფას პრეზიდენტმა მოედანზე შეაბიჯა და მოვარჯიშე ბიჭუნებს მიესალმა, თან ბურთები უსაჩუქრა და პატარებს ისე ეშხიანად გაეთამაშა, საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, კაი ფეხბურთსაც გააჩაღებდა.

ბავშვებთან სამახსოვრო ფოტოს გადაღებისას ბლატერი მოულოდნელად შებრუნდა და გვერდზე მდგომს გადაეხვია. იგი აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დევნილი ფუად მუსაევი იყო. თურმე მუსაევი, როცა მას თბილისში ბლატერის ვიზიტზე შეუტყვია, მერაბ ჟორდანიას

დაკავშირებია და ჩამოსვლა უთხოვია. ჟორდანიასგან უარს აბა, რატომ მიიღებდა და ისიც ბლატერს ზედ მოედანზე შეხვდა. იყო კიდევ ერთი მონატრებული სალამიც, საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ მწვრთნელმა ივო შუშაკმა და ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადკო მარკოვიჩმა ერთმანეთი ჩაკოცნეს და ქართულ სუფრასაც გვერდგვერდ მიუსხდნენ.

ბავშვების ყიფინას დამორებული ზემ ბლატერი კი მომდერალთა გუნდთან შეეგებნა, ქართულ ხმოვან „მრავალფაზიურს“ ცოტა ხანს ყური დაუდგო, თავი ვეღარ შეიკავა, მომდერლებს შუაში ჩაუდგა. ფიფას პრესსამსახურს კი სთხოვა და პირადი არქივისთვის ფოტო გადაეღოთ ჟორდანიასა და ქართველ ხანჯლოსან მომდერლებთან ერთად.

ბუბუტიშვილის კარ-მიდამოში ბლატერს უკვე ორკერსტრი შეეგება. პრეზიდენტი განცვიფრებული იყო. მიესალმა ვეტერან ფეხბურთელებს, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს, უნივერსიტეტის რექტორს, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტსა და გენერალურ მდივანს, სხვა ჩინოსნსა თუ უჩინოსს და მის საპატივცემულოდ გაშლილ მაგიდას მიუჯდა, ჩვეულებრივად მიითვა და განსხვავებულად კონიაკის მოყვარული ყოფილა...

დღეს ზემ ბლატერი საქართველოს ნაკრების ბაზას მობინახულებს, მერე ფეხბურთის ფედერაციის ოფისსა და „ლოკომოტივის“ სტადიონს დაათვალიერებს, სალამოს კი გაემგზავრება.

არანაირი კომენტარი, არც ერთი სიტყვა პრესას — ყველაფერი დღეს, პრესკონფერენციაზე...

კობა ინასარიძე
ბადრი ამთილასის ფოტოები





დინამო



დავით ყიფიანის თასი

ფინალში
თბილისი 2:6 ბაქო
ლოკომოტივი 1:8 სპარტაკი

სიონი



2003. გზა ვინაღვამდე

პეტიმეგსემატელფონალი

მცხეთა 0:3 დინამო
დინამო 7:0 მცხეთა

მეგრული ვინაღვამდე

დინამო 2:0 ბათუმი
ბათუმი 1:2 დინამო

ამონთხელ ვინაღვამდე

დინამო 1:0 ვიბ ზორჯია
ვიბ ზორჯია 1:1 დინამო

ნახევარ-ფინალი

ლოკომოტივი 0:4 დინამო
დინამო 2:1 ლოკომოტივი

სულ: 8 თამაში, 7 გოლი, 0 ფრე, 0 წაგება, ბურთები: 22:3

2003. გზა ვინაღვამდე

პეტიმეგსემატელფონალი

სიონი 7:1 ალაზანი
ალაზანი 2:4 სიონი

მეგრული ვინაღვამდე

კოლხეთი 0:0 სიონი
სიონი 2:1 კოლხეთი

ამონთხელ ვინაღვამდე

სიონი 3:0 სპარტაკი
სპარტაკი 2:1 სიონი

ნახევარ-ფინალი

სიონი 1:0 ტორპედო
ტორპედო 0:0 სიონი

სულ: 8 თამაში, 5 გოლი, 2 ფრე, 1 წაგება, ბურთები: 18:6

ბოლნისი ჯიბრულია, დინამო აჯაბრული

ორშაბათს საამსეზონო თასის გათამაშებას გვირგვინი დაედგება. ვაკეში ფინალია, „დინამო“ — „სიონი“. თბილისელები, ფაქტობრივად, ჩემპიონების რანგში დაუზღვდებიან ქვემოქართლებს.

ფინალის ტემა ნლეულს ჩემპიონატში ხელიხელჩაკიდებულებმა იარეს, ოღონდ ორი კლუბის სიახლოვეს სპორტული პრინციპები არ დაურღვევია. ბოლნისელებს პაერივით სჭირდებათ „დინამოს“ გაჩემპიონება, რაკი ამ შემთხვევაში თასის ფინალის ტობაც უხსნით გზას ევროპაში გასასვლელად. ამიტომაც, 26 მაისს „დინამო“ ფაქტობრივად დუბლის გაჩარხვას შეეცდება. რადგან ჩემპიონატის ბოლო ტურში „სიონს“ დიდი მოტივაცია აქვს, ხელი არ შეუშალოს შუშაკის გუნდს სამი ქულის მოპოვებაში.

სულ სხვაა ფინალი, მატჩი, რომელში მონაწილეობაც კი ბოლნისელთათვის უკვე ისტორიული ამბავია და, ბუნებრივია, ქვემოქართლები გულდაგულ შეეცდებიან პერიფერიული სენსაციის გამოჭედვას.


ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, უფრო რთულადაა ფავორიტის საქმე. შუშაკმა დიდი მოტივაცია გამოაცხადა დევიზით: „დავიწყეთ „ლოკომოტივთან“ გამარჯვება, იფიქრეთ თასზე!“

„თასი სპეციფიკური რამ არის, ამ გათამაშებისას გადაწყვეტი მატჩის მოგება ჩვენზე რანგით დაბალ ნებისმიერ მეტოქეს შეუძლია, მით უფრო, „სიონს“, რომელიც დამსახურებულად გავიდა ფინალში“ — ამბობს შუშაკი.

ორშაბათს ქვემო ქართლის ლამის მთელი ქართველობა დაიძვრება თბილისისკენ. სიონელებმა 3 000 ბილეთი უკვე ჩაიტანეს ბოლნისში. ქვემოქართლეთა ინფორმაციით, „სიონს“ 5 000-მდე გულშემატკივარი ეყოლება. ბოლნისელები მარნეულიდან, დმანისიდან და ნაღვიდანაც ელიან ქომაგს. თანარევიონელთა მხარდასაჭერად რუსთაველებიც მზად არიან. დიდ სამზადისშია „დინამოს“ ფანობაც. დედაქალაქელებს ასი პროცენტით სჯერათ, რომ გამარჯვება მათ გუნდს დარჩება.



სადაც კომპლექსი ფრე



მურაზ დოღულაძე ბოლნის ფრე

ალექსიკა ვინაღვამდე და ბოლი ბაიხსენა

თბილისის „დინამოს“ ბოლო მატჩებში რატი ალექსიძეს გოლი ვოლზე გააქვს და ფხის გამოჩენა „ჩელსიდან“ „დინამოში“ მოძრუნებულ შემტევს თასის ფინალშიც მართებს.

ალექსიძის საქართველოს თასის ფინალში ორჯერ უთამაშა 1997-98 წლებში და გოლის გემო იქაც დაუჭამია. რატიმ თან სუბარი კი ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურში „ლოკომოტივთან“ მატჩით დაიწყო, სადაც ალექსიძემ გამარჯვების შეკვლა.

„ლოკომოტივთან“ მატჩი ჩვენთვის ძალიან ბევრს წყვეტდა — ახლა თითქმის ჩემპიონები ვართ. რაც კი „ლოკომოტივთან“ გვითამაშია, ეს ყველაზე დაძაბული შეხვედრა იყო. მაგრამ ამ მოგებით გამოწვეულმა სიხარულმა უკვე გადაიარა და ახლა თასის ფინალზე ფიქრობთ.

„ლოკომოტივის“ ხელმძღვანელებს ამ თაგის გუნდის ფეხბურთელები თამაშის დათმობაში დაადანაშაულა — ამით „ლოკომოტივის“ უფროსობა პირდაპირ თუ ირიბად „დინამოსკენ“ იმეგრს ხელს.

— ყოველივე აბსურდია, „ლოკომოტივი“ ჩვენ გვებრძოდა. მის ხელმძღვანელობას კი როგორც ჩანს, არასწორი ინფორმაცია აქვს.

— „ლოკომოტივთან“ ამ გადამწყვეტი თამაშის წინ თქვი, თავს უკვე ჩემპიონად ვთვლი. იგივეს იტყვი თასის ფინალის წინ?

— არა, ასეთი რამისგან ახლა თავს შევიკავებ. შესაძლოა, ფსიქოლოგიურ ასპექტში ამან უარყოფითი როლი შეასრულეს. მაგრამ ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ როგორი მეტოქეც არ უნდა გვყავდეს, ფინალს მაინც ჩვენ მოვიგებთ.

— ბოლნისის „სიონზე“ რას იტყვი?

— „სიონი“ მშვენიერი გუნდია. იცის, თუ სად როგორ უნდა ითამაშოს. ისეთი გუნდია, რომ შეუძლია, ერთი შეხვედრა ნებისმიერ მეტოქესთან აღმავლობით

ითამაშოს, თანაც ბოლნისელები ვიგორულად, მთელი სულითა და გულით თამაშობენ.

— თასის ფინალში ორჯერ ვითამაშა — 1997 წელს „ბათუმს“ მოუგეთ, მომდევნო წელიწადს იმავე „ბათუმთან“ გოლი კი შეაგდეს, მაგრამ წააგეთ. კარგად გახსოვს ის ფინალები?

— რა თქმა უნდა, თანაც ძალიან კარგად. უფრო კი წაგებული ფინალი. ისიც კარგად მახსოვს, გოლი როგორ გავიტანე — კარში შევდებამდე ბურთი დავით ჰიტკვიცილს მოხვდა.

— ფინალში, თუნდაც წაგებულში გატანილი გოლი შენთვის ძალიან ძვირად ფასობს?

— ფინალში გატანილი გოლი ძალიან ძვირფასია, მაგრამ წაგებულში ისე ვეღარ ფასობს — ძალიან ცუდი შეგრძნებაა, როცა ფინალში მარცხდები.

— იმდროინდელ და ახლანდელ „დინამოს“ როგორ შეადარებდი?

— მაშინ „დინამო“ სულ ჩემპიონი ხდებოდა, ძლიერი კონკურენტები არ ჰყავდა, ახლა კი სხვა ვითარებაა — უკვე რამდენიმე გუნდს შეუძლია თავი წამოიყოს, მაგრამ ივთ შუშაკი ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც საჭიროა.

— მას მერე როგორ ფეხბურთელად ჩამოყალიბდნი? მაშინ ძირითადად მარცხენა ნახევარმცველად თამაშობდი, ახლა ბურთის ნაკლებად ათრევ და, ასე ვთქვათ, ერთი დარტყმის ფორვარდი გახდი?

— „ჩელსიში“ ორწელიწადნახევარი ვიყავი და ვერ ვიტყვი, დრო ტყუილად გაუფლანგეთ, მაგრამ მაინც ბევრი რამ დაკარგე. სასამაშო პრაქტიკა რომ მქონოდა, ბევრს შემატებდა და დროის ნივთი უკეთესი მექნებოდა. ახლა კი უკვე სისტემატურად ვითამაშობ როგორც ფორვარდი და მინდა, ამას შევწვიო. მერე კი ისევ უცხოეთში წავალ, თუმც მანამდე „დინამო“ და ევროტურნირებია.

თასის ყველა ფინალი

1990
ბურია 1:0 დ. (0:0) ცხუმი

1991-92
იბერია 3:1 ცხუმი

1992-93
დინამო 4:2 ბათუმი

1993-94
დინამო 1:0 მეტალურგი

1994-95
დინამო 1:0 ბათუმი

1995-96
დინამო 1:0 ბათუმი

1996-97
დინამო 1:0 ბათუმი

1997-98
დინამო 1:2 დ. (1:1) ბათუმი

1998-99
ტორპედო 0:0 დ. (0:0, პენ. 4:2) საგმპრალი

1999-00
ლოკომოტივი 0:0 დ. (0:0, პენ. 4:2) ტორპედო

2000-01
ლოკომოტივი 0:0 დ. (0:0, პენ. 3:4) ტორპედო

2001-02
ლოკომოტივი 2:0 ტორპედო

კასი პირველი ფინალიდან

ბოლნისის „სიონს“ ვეტერანი და ყოფილი იური ბაბისკირია ის ფეხბურთელია, ვისაც თასის გათამაშების პირველ ფინალურ მატჩში უთამაშია. 1990 წლის 18 ნოემბერს, 35 ათასი მკურნელის თვალწინ სოხუმის „ცხუმს“ ლანჩხუთის „გურასთან“ დამატებით დროში წააგო.

გავიდა ორი წელიწადი და ცხუმელმა გაბისკირიამ მორე ფინალშიც დათმო. სოხუმელების მძღველი რეგამ ბოტაშვილის „იბერია“ იყო. მას აქვთ, 11 წელიწადი გაივლია და იური გაბისკირია ისევ ფინალშია ორშაბათს მისი „სიონი“ „დინამოს“ შეეტოქება.

წინა ორი ფინალი გაბისკირიამ „ეროვნულზე“ წააგო. მესამე კი „ლოკომოტივზე“ დანიშნული და იურისაც გამარჯვებისა კომედა, თუმც ადრინდელ დამარცხებებს დღესაც სინანულით იხსენებს.

— მაშინდელი „გურია“ ის გუნდი იყო, რომელიც დღეს თანამოწონე ქართულ კლუბებს იოლად დაამარცხებდა. ქანთარია, ტყეშუაზა, ცომაია, კორღალიძე, ფრიდონაშვილი, ფრიდრიკასი, მაყიკასი... ისინი კარიერის საუკეთესო წლებს ითვლიდნენ, „ცხუმი“ კი ახალწამოყალიბებული გუნდი იყო და გამოცდილება გვაკლდა. ამიტომაც გაუშვით გოლი დამატებით დროში, თორემ საქმე პუნალტებამდე რომ მიგვეყვანა, ეგებ თასიც ჩვენ დაგვრჩებოდა.

მომდევნო გათამაშებაში კი ბოტაშვილის „იბერია“ ამკარად დაგვანგრა. თუმც ერთი ფაქტი საწყენად მაინც დამრჩა. თამაშამდე „ეროვნულზე“ გასახლებლებიც არ გავილდეს. მოუდნენ სხვა მხრიდან მოვხვდით და ისე ვივარჯიშეთ. ამან გარკვეულწილად გუნდზეც იმოქმედა და მომდევნო დღეს ფინალშიც აფორიაქებული ვიყავი.

ნამდვილად მისხარია, მესამე ფინალურ

შეხვედრას „ლოკომოტივზე“ რომ ვითამაშებ, „ეროვნულმა“ ცუდად დამცადა.

— როგორ ფიქრობ, „სიონს“ „დინამოს“ წინააღმდეგ რა შანსი აქვს?

— „დინამო“ ძლიერი გუნდია. შუშაკის კარგი შემსრულებელი არ აკლია და პირობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „დინამო“ ხუთ „სიონს“ დაიტყვის. თუმც ჩვენ მაღალი დისციპლინა და ბოლომდე ბრძოლა გამოვკარჩევს. თასიც „დინამოს“ თავი ჩემპიონი ჰქონია და ეყოფიერა აშიც იქნება.

— რატომ ამბობ, ჰკონიაო, „დინამოს“ ჩემპიონობა ხომ „სიონსაც“ ხელს აძლევს?


— ყველაზე მეტად „სიონს“ თასის მოგება სურს. თუ 26 მაისს ჩვენ გავიმარჯვებთ, მაშინ გაირადებით, შუშაკის გუნდს ბოლო ტურში ჩემპიონობა სანატრელი გაუხდება. წაგების შემთხვევაში კი „დინამოს“ გაირველება ჩვენს წინაქეილზე დაასხამს წყალს და თუ წაგებთ, ნურავინ გაგვამტყუნებს.

— შენს ახალგაზრდა თანაგუნდლებს „ლოკომოტივზე“ მუხლები არ აუკანკალდება?

— არა მგონია, „დინამოსი“ ეშინოდეთ, თუმც შეუძლებელია, მეტოქის სიძლიერეზე არ ფიქრობდნენ. ფინალამდე მწკრთნელები და უფრო გამოცდილები ყველა ღონეს მიემართავენ, რათა ფსიქოლოგიურად მოვაზადლოთ თამაშისთვის.


— სამიდან რომელ ფინალში გასვლა უფრო გაგიხარდა?

— „ცხუმი“ ისეთი გუნდი იყო და ისეთი პირობები ჰქონდა, რომ მაშინ ვალდებულები ვიყავით, ფინალში გვეთამაშა. რა თქმა უნდა, ახლა უფრო გამიხარდა. ქუთაისში ნახევარფინალის საასუსო მატჩი რომ დამთავრდა, მთელი სამყარო ჩემი მეგონა.



აკაკი ჩხაიძე

ჩხაიძემ ლოკომოტივი ნანილ-ნანილ დაგულა შარისხულაბს შუბლიათ გუნდი ჩამოაყალიბონ



გაგვიმზილეს, თუმც დამარული მანც
გაცხადდა, რადგანაც ამ ქვეყანაში ბალახ-
ხმაც ყველაფერი იცის.

დღეს 11 საათზე „ლოკომოტივზე“ შე-
რისხული თერთმეტეულის სიას გამოა-
კრავენ და გუნდიდან დაითხოვენ. 30
მაისს ქუთაისშიც სათამაშოდ გადახა-
ლისებული გუნდი წავა.

მანუჩარ ივარდავა, გიორგი ბალახვი-
ლი, ზაზა ლაცაბიძე დავით ჭიჭვიანი-
ლი, გივი კვარაცხელია, მიხეილ სოსე-
ლია, მამუკა რუსია, ალექო კაილარაშვი-
ლი, მერაბ მოძუაშვილი, რაიან სალასა-
რი და ნანა ეშუანი — ამ თერთმეტეუ-
ლისგან ერთი ისეთი გუნდი შეკოწიწლე-
ბოდა, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატში
საპრიზობებს თუ ვერ შეეთამაშებო-
და, ლიგაში ადგილის შენარჩუნებაც
არ გაუჭირდებოდა.

რკინიგზული ხელმძღვანელები ზემოთ
ჩამოთვლილ მოთამაშეთაგან ყველას
არა, მაგრამ რამდენიმეს „დინამოსთან“
გარიგებაში და თამაშის შეგნებულად
დათმობაში აღანაშაულებენ. კლუბის თა-
ვკაცებმა „ლოკომოტივის“ კაპიტანი გი-
ორგი ბალახვილი და გივი კვარაცხე-
ლია გუნდიდან სულაც გუმზინწინ, „დი-
ნამოსთან“ მატჩის შემდეგ დაითხოვეს.
ბალახვილი და კვარაცხელია ბრალდებ-
ასს აღსურდელს უწოდებენ. გუმზინ სა-
კომენტაროდ რომ შეეხმიანეთ, აღშო-
თება არ დაუფარავთ.

გიორგი ბალახვილი: სისულელეა ეს
ყველაფერი. მათ ნათქვამს თუ დავეუ-
ჯერებთ, მაშინ ჩვენ აზრი შესვენებისას

შევეიცვლია, არადა, კლუბის თავკაცობა
გასახდელში გვერდიდან არ მოგვშორე-
ბია და იმ დროს ჩვენთან მოსვლას ვინ
გაბედავდა. „ლოკომოტივში“ ბოლო ორი
წელიწადი უკონტრაქტოდ, ერთგულად
ვითამაშე, ჯანი არ დამიზოგავს და ფე-
ცილები. იქაურობას დროულად უნდა გავე-
ცლოდი, გასაჭირში მიმეგდო და მაშინ
ვიქნებოდი ყველასთან მართალი.

გივი კვარაცხელია: „ლოკომოტივი-
თან“ კონტრაქტი დამითავრდა და იქ
დამჩრჩნი მანც არ ვიყავი, მაგრამ გუ-
ნდიდან გასაშვები რა მჭირდა. ღმერთმა
იცის, მუხლი მტკიოდა, დაშვებულმა
თავი დავდე, რაც შემეძლო ვითამაშე
და ის მაკადრეს, რასაც არ ვიმსახურე-
ბდი. ამის შემდეგ „ლოკომოტივისკენ“
რა გამახედებს.

აკაკი ჩხაიძემ მწვანე შუქი ჯერჯე-
რობით ძირითადი გუნდის 6 ფეხბურ-
თელს აუნთო — გიორგი ლომია, ლაშა
საღუქაძე, დავით სირაძე, როინ ონიანი,
მურთაზ ბურნაძე და რომან გოგინაშვი-
ლი ისევე სამომავლო „ლოკომოტივში“
მოიაზრებიან.

დღეს ვაკეში 11 საათზე „ლოკომოტი-
ვი“ შეიკრიბება და ცოდვა-მადლიც იქ
აიწონება. ისე, კარგი იქნება, თუ რკინი-
გზული „საქმის გარეგანს“ სტადიონის
დასათვალისწინებლად მისული ფიფას
პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი არ შეე-
სწრება, თორემ, ისედაც ყველა გრძობს,
რომ რკინიგზული დავიდარაბა უხმაუ-
როდ არ ჩაივლის.

ბავშვა კვანტალიანი



მიხეილ აშვეთიას ცსკა-ში გადასვლა დროის ამბავია

მისოია, გინდა ლიგა? ნადი რუსის ჯარში

საქართველოს ნაკრების წევრის, მიხეილ აშვეთი-
ას მოსკოვის ცსკა-ში ჩარიცხვას აღბათ წინ არაფე-
რი დაუდგება. ადრევე გაუწყეთ, რომ არმიულებს მტ-
კიცედ გადაუწყვეტიათ ქართველი თავდამსხმელის გა-
დაბირება და საამისოდ მოლაპარაკებებიც წამოი-
წყეს.

ვალერი გაზავეს მიხეილ აშვეთიას შეძენა სეზონის
წინაც რომ სურდა, ძველი ამბავია. მაშინ ამ საქმიდან
არაფერი გამოვიდა, თუმც, ჩვენებურის სასიხარუ-
ლოდ, უღვაშა ოსმა ის მაინც არ დაივიწყა

ამბებარად, რუსული პრემიერლი-
გის ლიდერი ცსკა ქართველ თავდამს-
ხმელს, სავარაუდოდ, პირველი წრის
დასრულებისთანავე შეიმატებს.

არმეილთა თავკაცი მიხეილ აშვეთიას
ახლახან ვლადიკავკაზშიც დააკვირდა.
„სპარტაკ-ალანია“ — ცსკა-ს მატჩამდე
აშვეთიასა და გაზავეს ერთმანეთი თბი-
ლად მოუკითხავთ.

— როგორც ვიცი, მოლაპარაკებები
ისევ გრძელდება. ცსკა-სთან მატჩის
დღეს გაზავევი კი ვნახე და ერთმანეთ-
საც მივესალმეთ, მაგრამ ჩემი შესაძლო
ტრანსფერის შესახებ ნაღდად არ გვი-
ლაპარაკია. ამის შესაფერისი დრო არ
იყო. ყველაფერი პირველი წრის დამთა-
ვრებისთანავე გაირკვევა. ჯერჯერობით
ამ საქმეში წინააღმდეგობა არ მომხდარა
— გვითხრა გუმზინ მიხეილ აშვეთიამ,
რომელსაც ვლადიკავკაზში შევეხმიან-
ეთ.

ასე რომ, დიდი შანსია, რუსეთიდან
მეორე ქართველმა ფეხბურთელმაც ითა-
მამოს ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო

ტურნირში — ჩემპიონთა ლიგაში. ახალ
სეზონში ხომ რუსეთის მოქმედ ჩემპიონ
მოსკოვის „ლოკომოტივთან“ და მალხაზ
ასათიანთან ერთად ლიგის გათამაშებაში
მეორე პრიზიორი მოსკოვისკე ცსკა-ც
ჩაერთვება.

ერთი სიტყვით, დანიური „კოპენჰა-
გენიდან“ ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალ-
ანიაში“ განათხოვრებული მიხეილ აშვე-
თია დღე-დღეზე გარემოს შეცვლას
ელის შეგახსენებთ, რომ ქართველ თა-
ვდამსხმელს „კოპენჰაგენთან“ კონტრა-
ქტი წელიწადნახევარში უსრულდება,
თუმც...

— დანიაში აღარ დავბრუნდები. შეე-
ლომის გამოტოვებას არ აპირებ. მართა-
ლია, ჯერაც „კოპენჰაგენის“ საკუთრება
ვარ, თუმც ცსკა ხომ ჩემს შეძენას
აპირებს და მათგან საბოლოოდ გავთა-
ვისუფლდები. დანიელები დღემდე არ
დამკავშირებიათ, მაგრამ ასეც რომ მო-
ხდეს, იქ მაინც არ დავბრუნდები —
ასეთია მიხეილ აშვეთიას აზრი.

ბასა ზალაზბერიძე



დავით ჭიჭვიანი და ნანა ეშუანი შავ სიაში მოხვდნენ

სამართალოს	წაპირება	28 ტურში
გურია 2:0 ივარია	ლაზია	28 18 7 3 61:27 61
სამგურალი 3:0 სოზი	მერცხალი	28 18 7 3 59:26 61
სამგურალი 0:1 ლოკომოტივი 2	მცხეთა	28 16 7 5 45:20 55
სხინვალი 0:1 მცხეთა	სამგურალი	28 14 7 7 39:25 49
თსუ 3:4 მერცხალი	ცხინვალი	28 13 6 9 35:24 45
სპარტაკი 0:1 კობულეთი	ქობულეთი	28 13 5 10 24:22 44
ლაზია 5:0 ალაზანი	სპარტაკი	28 13 4 11 41:30 43
ჭაბუკთა ნაკრები 1:0 დინამო 2	ლოკომოტივი 2	28 11 9 8 29:22 42
	დინამო 2	28 11 6 11 34:29 39
	ივერია	28 10 6 12 36:37 36
	თსუ	28 9 8 11 24:30 35
	ჭაბუკთა ნაკრები	28 9 4 15 37:44 31
	გურია	28 8 7 13 30:41 31
	ალაზანი	28 5 6 17 29:68 21
	ხობი	28 5 5 18 16:43 20
	სამგურელია	28 3 2 23 24:75 11

ბრაზილი (ბრაზილია) 2:2 ინფანტინოს მადრიდი (კოლუმბია)
0:1 მოლინა (3), 1:1 ფილბერტო (16), 1:2 მონტოია (18), 2:2 ფაბრი (31)
ბრაზილი: დანტე, კლავდიორო, გავიო, როფერი, ანდრესონ ლიმა, ამარალი, ტინგა,
რ. ფაბრი, ფილბერტო (კ. მიგელი 77), ლუს მარია (კაიო 68), კრისტოვან
ინფანტინოს მადრიდი: დ. გონსალესი, ფ. ბალი, ფ. რამოსი (უ. ვასკეზი 46), კალუ,
პერეა, კორტესი, რესტრეპო, ხარამილი, დ. მონტოია (ლეალი 74), მ. მოლინა (ორტისი
90), ხ. სერნა
ზაჯი: უბალდო აკინო (პარაგვაი)
50 000 მყურებელი

თხა თხაზე ნაკლები

კოლუმბიის ჩემპიონმა „მედელინმა“ ლიბერტადორების თასის მეორე რაუნდის პირველ მატჩში სტუმრად 2:2 გაუხერხა ბრაზილიურ „გრემიოს“, რაც ფრთხილ მოულოდნელი შედეგი გახლდათ. საქმე ისაა, რომ „გრემიოს“ სტადიონი „ოლიმპიკო“ დათარსულად ითვლება მთელ სამხრეთ ამერიკაში სტუმარი გუნდებისთვის და იქ მოგება უძნელესი საქმეა. ამასთანავე „მედელინი“ ორჯერ ანგარიშში დაწინაურდა კიდევ.
ოთხი გატანილი გოლიდან კი პირველი სამი თვლისთვის ფრთხილ საამო გამოდგა.
მესამე წუთზე კოლუმბიელმა მურისიო მოლინამ 25 მეტრიდან ზემოლავრი ცაცია ამოსცხო ბურთს, რომელიც მასპინძელთა მეკარე დანტემ იმ უკვე კარის ხაზს მიღმა დაიჭირა. რამდენიმე წუთში იმავე მოლინას კიდევ ერთ ბრწყინვალე შანსი მიეცა, მაგრამ ვეღარ იხერხა სამხრეთი, იხერხა ფილბერტომ, ვინაც, თხა თხაზე ნაკლები და ასევე 25 მეტრიდან გაუტანა სტუმრებს. საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ „გრემიომ“ მისთვის დამახასიათებელი ძალისმიერი ფეხბურთი ითამაშა.
თუმცე ანგარიშში თანაბრობამ ოდენ ორ წუთს გასტანა. მედელინელმა დავიდ მონტოიამ საჯარიმოს კუთხესთან მიიღო ბურთი, ფიქრით თავი არ მოუკლავს და შორეულ კუთხეში ჩაატყდა. „გრემიოს“ მეორე გამათანაბრებელი კი რიკოშეტით გავიდა, გოლი როდრიგო ფაბრის ჩაეწერა.
შესვენებიდან ოც წამში მონტოიას დარტყმული ტელს მოხვდა, მაგრამ ხალხმა რომ იფიქრა, დიდებული მეორე ტაიმი გველისო, მწარედ მოტყუვდა. იმ ძელის მერე, მთელი 45 წუთი მოედანზე საინტერესო აღარაფერი მომხდარა.
გიორგი ღარჯანიანი



მედელინელმა მურისიო მოლინამ (მარჯვენა) თვალსაწიერო გოლი გაიტანა



დევიდ ბექემი ხელით დაეცა და შინ თაბაშირით დაბრუნდა



სამხრეთ ამერიკა 12 ინფანტი 0:1 საუთგეიტი (1), 1:1 მაკარტი (18), 1:2 ბესკი (64)
სამხრეთ ამერიკა: მ. ბალი, მამბიზელა, მოლენდო, ა. მოკონა, რადებუ, სიბაია, ტ. მოკონა (მენდუ 67), ფრედერიკსი (მაზი-ბუკო 77), ბაკლი, ბარტლემი, მაკარტი (მანიატელა 68)

პრტი გავა და ორი გოლი


ინფანტი 0:1 საუთგეიტი (1), 1:1 მაკარტი (18), 1:2 ბესკი (64)
სამხრეთ ამერიკა: მ. ბალი, მამბიზელა, მოლენდო, ა. მოკონა, რადებუ, სიბაია, ტ. მოკონა (მენდუ 67), ფრედერიკსი (მაზი-ბუკო 77), ბაკლი, ბარტლემი, მაკარტი (მანიატელა 68)
ინგლისის ნაკრებმა მოამთავრა თავისი საზოგადოებრივ-საფეხბურთო მოგზაურობა სამხრეთ ამერიკაში. სვენ გორან ერისკონის გუნდმა ლურბანში 2:1 მოუგო მასპინძელ ნაკრებს.
გამარჯვების გოლი 64-ე წუთზე გაიტანა ემილ ჰესკიმ, მას შემდეგ, რაც მეკარე ბრაიან ბალიის მიერ მოგერიებულ ბურთს მიუსწრო. მანამდე გარეშ საუთგეიტმა ანგარიში გახსნა, ბენი მაკარტიმ კი გაათანაბრა.
ამ ამხანაგური თამაშის მთავარ მოვლენად კი ის იქცა, რომ დევიდ ბექემმა მარჯვენა ხელი მაჯაში მოიტეხა. აქ ორი ამბავია ასახსნელი: ბექემი დისკვალიფიცირებულია და II ინის მანცკერი ითამაშებს სლოვაკთა წინააღმდეგვერო 2004-ის შესარჩევ მატჩში. მეორეს მხრივ ბექემისთვის ღურბანული შეხვედრა სეზონის ბოლო მატჩი იყო და ახლა შევხვებულა მაჯაგატეხილი გდის.
ინგლისელებს კი კარგი ვარჯიში გამოუვიდათ.
ინგლისელებს კი კარგი ვარჯიში გამოუვიდათ.

ინგლისელებს კი კარგი ვარჯიში გამოუვიდათ.

სერ ალექსის ახალი პრიზი


დრო იყო, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ქიმაგებს მზე და მთვარე ერთ კანტონაზე ამოსდიოდათ, მაგრამ ამქვეყნად ყველაფერი წარმატებულია და ერთ მშვენიერ დღეს ქარიზმატული ფრანგიც „ოლდ ტრაფორდსაც“ და ფეხბურთსაც ერთდროულად დაემშვიდობა.
და აი, სერ ალექსი ფერეისონმა თვალი ახალ ერისკ დაადგა — 22 წლის კამერუნელი ერისკ ჯემბა ჯემბა ფრანგული „ნანტის“ აღზრდილია და 5 მილიონი გირვანქა ღირს. დიდი შოტლანდიელის ყურადღება მან ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების პირველ ეტაპზე მიიპყრო, როცა „ნანტი“ სწორედ „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეხვდა. ფერეისონს ახალგაზრდა კამერუნელი ისე მოეწონა, რომ კლუბის სკაუტებმა ლამის მთელი სეზონი მანჩესტერ-ნანტის ავიარებისზე გაატარეს — ჯემბა ჯემბას თამაში II-ჯერ ნახეს და ბოსს მოახსენეს, ნახევარდაცვის ცენტრში ზომ მგარია, მარჯვნივაც გადასარეკად ირჯებაო. ერთადერთი, რამაც ინგლისელები დააფიქრა, ერისკის ნამეტანი ემოციურობა გახლავთ — სეზონში II გაფრთხილება და ერთიც გამეკვება დაუთვალეს, თუმცა ამის გამო ფერეისონს განზრახვაზე ხელი არ აუღია. „ამ ზაფხულს მთავარ ყურადღებას ნახევარდაცვის გაძლიერებას დაუთმობ“ — თქვა სქოთმა და „ნანტთან“ ვაჭრობის დაწყება ითხოვა.
პარალელურად, ინგლისის ჩემპიონმა 7 მილიონად შეფასებულ ავსტრალიელ პარი კიუელთან და მის „ლიდსთან“ მოლაპარაკება დაიწყო.

გიგა კობახიძე




და სოტორა დაგვიბრუნდა...

არიზონას შტატში ექსკვირირანი მკერძალობის შემდეგ დედა-ინგლისს პოლ გესქინი დაუბრუნდა. ლონდონის „პითროუს“ აეროპორტში დაამხვედრ ფურნალისტებს ექს-ვარსკვლავი თავგადაპარსული წარუდგა. „უბრალოდ, არიზონაში ძალიან ცხელია“ — ასე ახსნა ახალი „ეკარცხნილობა“ გაზამ, ვინც სამშაბათს 36 წლისა შეიქნება და ალბათ სწორედ იმ დღეს გაირკვევა, რამდენად ეფექტური იყო ძვირადღირებულ (დღეში 1000 დოლარი) ამერიკულ კლინიკაში მკურნალობა. თუ საკუთარ დღეობაზე არ დაღია...
„ყველაფერი ჩინებულადაა. ახლა ცოტას დავისვენებ, ბავშვებს ვნახავ და მერე ჩინეთშიც დავბრუნდები“ — თქვა გესქინმა, რომელიც, არ დაგავიწყდეთ, ჩინეთის მეორე დივიზიონის ერთ-ერთი კლუბის მოთამაშე-მწვრთნელია.
გიგა კობახიძე



ალექსი ფერეისონმა ერთი ჯემბა ჯემბა რომ გადაიბირა, ალბათ, ამ ტრანსფერს შამპანურით დაასველებს



გიგა კობახიძე

Table with football statistics including team names, goals, and other metrics. Includes a section for 'ამხანაგური მატჩი' and 'ფინეთი'.

იბედა

სპორტობა — დასაბრუნებელია

XXXIV ტური	
დედანი	
რომა	- ატალანტა
იუვენტუსი	- პარმა
უდინეზე	- ლაციო
პარმა	- პარმა
პარმა	- პარმა
პარმა	- პარმა
პარმა	- პარმა
პარმა	- პარმა
პარმა	- პარმა

სადღეისო ვითარება	
იუვენტუსი	33 20 9 4 60:26 69
ინტერი	33 19 7 7 61:36 64
მილანი	33 18 7 8 53:26 61
ლაციო	33 15 15 3 56:30 60
კიევი	33 16 7 10 48:35 55
პარმა	33 14 11 8 53:36 53
უდინეზე	33 15 8 10 36:34 53
რომა	33 13 10 10 54:44 49
ბრეშა	33 9 14 10 34:36 41
ბოლონია	33 10 11 12 39:45 41
პერუჯა	33 10 11 12 38:45 41
ემპოლი	33 9 11 13 36:44 38
მოდენა	33 9 10 14 28:46 37
ატალანტა	33 7 14 12 33:46 35
რეჯინა	33 9 8 16 36:53 35
...	
პიჩენცა	33 7 6 20 40:60 27
კომო	33 3 12 18 28:57 21
ტორინო	33 4 9 20 23:57 21

კარეს, ჯანლუიჯი ბუფონს, იგი ბოლო ორი ტურის მხარს იტყობს და ცვლიან ასე რომ არ არის გამორიცხული, ამ ჯერზე სულაც სათადარიგოთა სკამზე დასვან.

„კიევი“ ამ შეხვედრაში მონიღომებს, რადგან უფასო თასზე გამსვლელი ადგილის დაბეჭედა უნდა — „პარმას“ და „უდინეზეს“ ჩასაფრებულად. სასა ბელანოვიჩი დისკვალიფიცირებულია, ხოლო ფედერიკო კოსატო დაშვებული, ამრიგად თლივერ ბიარკოს მოუწევს ბეჭერი ფუნის გამოჩენა. ამბობენ, ეს ერთი თამაშიც და გერმანელი ფეხბურთის თამაშს თავს ანებებდნენ. მას ახალგაზრდა სერჯიო პელისიერს შეუწყვილებენ, ხოლო ნიკოლა ლეგროტალიე „რომანი“ წასვლის წინ შეეცდებოდა ქომაგებს ბოლოჯერ მოაწონოს თავი.

„პიჩენცა“, აკი ვითხარით, გავარდნილია, „მილანი“ კი ის ერთადერთი გუნდია, სეზონის სულ ბოლომდე სამ ფრონტს რომ შემორჩა — კოპა იტალია, ჩემპიონთა ლიგა და იტალიის პირველი. „მილანის“ თავკაცი კარლო ანჯელიტი „პიჩენცასთან“ მატჩში მომავალ თაობას გამოცდის.

„ინტერი“, როგორც თავში ვთქვით, მეორე ადგილის გასანადგურებლად ერთადერთი ქულა უნდა, თუმცა ამ გუნდთან დაკავშირებით არანაკლებ საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი: „შავ-ლურჯების“ მწვერთელი ექტორ რაულ კუპერი მხოლოდ და მხოლოდ სეზონის ასრულებს, თუ ეს „ინტერი“ მისი ბოლო თამაშში უცნობია ალგარო რეკობას მომავალიც. კრისტიან ვიერი დაშვებული იყო. ბოლომდე გამოჯანმრთელებული ახლაც არ არის და რაღას ვაგა მოედანზე წინ „ინტერს“ ერნან კრესპოს და მოჰამედ კალონის წყვილი ეყოლება. ნიჭიერი ახალგაზრდა, ობაფემი მარტინსი ტრავმირებულია, ამიტომ შესაძლოა ბოლო შეხვედრაში მისი ჯანმრთელობა სასწორზე აღარ შეაღონ.

„პერუჯა“, რომელიც „ინტერთან“ საბრძოლველად „სან სიროზე“ ჩადის, თეორიულად ინტერტოტოს თასზე გასვლას უმძინებს, თუმცა რამდენიმე დღის წინ კლუბის ოფისიდან ხმა გამოვიდა მაგ შეეძობებოდა შეიძლება სულაც არ წავიდეთო. პერუჯელთა შორის მონდომებული, ალბათ, ფაბრიკიო მიკოლი იქნება. იგი ხომ მომდევნო სეზონიდან უეჭველად „იუვენს“ მისურით ითამაშებს და გამოდის, რომ საეკვარელი „პერუჯას“ ბოლოჯერ ემსახურება. ამ გუნდის შესახებ კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ კაპიტანი, ჯოვანი ტედესკო დაშვებულია, ხოლო ზისის ვრიზასი დისკვალიფიცირებული.

„უდინეზე“ — „ლაციო“ კი მართლა ბრძოლა იქნება, თუ გასვლათ, „უდინეზეზე“ ვითხარით, რომ უფასო თასზე ლაშობს მოხვედრას, ხოლო „ლაციო“ „მილანს“ ფუნის დაცდენას და ზედა სამეულში მოხვედრას ელოდება. შერყდა, უდინელები ამ სეზონში შინ თითქმის ყველა ამარცხებენ — „ინტერი“, „მილანი“, „რომა“...

საინტერესო იქნება რობერტო მუციის თამაშის ნახვაც „უდინეზეს“ ეს ფეხბურთელი ბავშვობიდან „ლაციოს“ თავგადაკლული ფანია და მომდევნო სეზონიდან „სტადიო ოლიმპიკოზე“ გადაბარებასაც ფიქრობს. „ლაციოს“ დაშვებული ჰყავს სიმონე ინმაგი და დეიან სტანკოვიჩი, ხოლო მასიმი ოლი დისკვალიფიცირებულია.



ჩემპიონთა ლიგის ბაღში ბეჯი რამ „მილანზე“ დაბეჭედებული

ისინი ითამაშებენ ლიგაში

ევროპის ყველა ქვეყანაში სეზონი ჯერ არ დამთავრებულა, ჩემპიონატები ბოლო ტურებს ითვლიან. თუმცა ზოგან ყველაფერი უკვე გარკვეულია, ზოგან კი, თითქმის გარკვეული. ერთი სიტყვით, უკვე ახლავე შეგვიძლია ორიოდე ათეული გუნდის ჩამოთვლა, რომლებიც მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ან მის საკვალიფიკაციო ეტაპებზე ითამაშებენ.

ჩემპიონთა ლიგა (16 გუნდი)

- იუვენტუსი (იტალია)
- ინტერი ან მილანი (ორივე იტალია)
- მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
- არსენალი (ინგლისი)
- ბაიერნი (გერმანია)
- დორტმუნდი ან შტუტგარტი (ორივე გერმანია)
- ლიონი (საფრანგეთი)
- მარსალი ან მონაქო (ორივე საფრანგეთი)
- ამათგან ორი: რეალი, დეპორტივო, სოსიედადი (სამივე ესპანეთი)
- ამათგან ორი: ოლიმპიაკოსი, პანათინაიკოსი, აკა (სამივე საბერძნეთი)
- ამათგან ერთი: ჰსკ პინდჰოპენი, აიაქსი, ფაიენოროდი (პოლანდია)
- ბეშიქთაში ან გალათასარაი (თურქეთი)
- პორტუ (პორტუგალია)

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი (18 გუნდი)

- ლაციო (იტალია)
- ინტერი ან მილანი (იტალია)
- ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი)
- ჩელსი (ინგლისი)
- მესამე და მეოთხე ესპანური გუნდი
- მესამე გერმანული გუნდი
- მესამე ფრანგული გუნდი
- მესამე ბერძნული გუნდი
- შენიშვნა: თუ „მილანი“ ჩემპიონთა ლიგას მოიგებს, მაგრამ სერია A-ში მესამე ან მეოთხე ადგილზე ვაგა, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე შეეცადონ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი (16 გუნდი)

- უსკა (რუსეთი)
- მეორე ჩეხური გუნდი
- სალტიკი ან რაინჯარსი (შოტლანდია)
- მეორე უკრაინული გუნდი
- ანდერლექტი (ბელგია)
- მეორე ავსტრიული გუნდი
- შვეიცარიის ჩემპიონი
- რუსანბორმი (ნორვეგია)
- იზრაელის ჩემპიონი
- დინამო (ხორვატია)
- პოლონეთის ჩემპიონი
- დანის ჩემპიონი
- იურგორლენი (შვედეთი)
- პარტიზანი (სერბეთი და ჩერნიგორია)
- სლოვაკეთის ჩემპიონი
- უსკა (ბულგარეთი)

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი (24 გუნდი)

- რაპიდი (რუმინეთი)
- უნგრეთის ჩემპიონი
- სლოვენის ჩემპიონი
- ოპონია (კვიპროსი)
- ჰიკ (ფინეთი)
- სკონტო (ლატვია)
- საქართველოს ჩემპიონი
- შარიფი (მოლდოვა)
- რაიკიპიკი (ისლანდია)
- ბათი (ბელარუსი)
- კაუნასი (ლიტვა)
- ბოკოვიანსი (ლიტვანია)
- პარდარი (მაკედონია)
- სლიმა (მალტა)
- ბარი თაუნისი (უელსი)
- ვლორა (ესტონეთი)
- ბოსნიის ჩემპიონი
- პიუნიკი (სომხეთი)
- გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია)
- ტირანა (ალბანეთი)
- ტორსჰენი (ფარერები)
- შამშირი (აზერბაიჯანი)
- ლუქსემბურგის ჩემპიონი
- ირტიში (ყაზახეთი)

შენიშვნა: აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაცია ამჟამად უეფა-ს დასახმარებელია



სერია A-ს ბოლო ტურში ყველაზე დრამატული „უდინეზე“ — „ლაციო“ იქნება



თამაზ მდინარაძემ ოლიმპიური ჩემპიონი რობერტ შველაყაძე სათბილოდ დააჩილოდა, ძველებიდან სხვა ბევრი ჰყავს პატივისცემისა, ასევე კი არ ჩანან

გაჭირვება დედოფლის სანოღიდან გადმოგვაგდო ჩვენნი მოთავალი ჭაუბი ჩავარდა

საქართველოში ცხოვრება რომ გაჭირდა, სპორტის დეპარტამენტმა არ დაახანა და ქამარიც შესაბამისად მოიჭირა. სპორტის სახეობები სტრატეგიულადაა და არასტრატეგიულადაა დასჯილი, მერე კი მზრუნველობაც შესაბამისად გაანაწილა. ვერ სტრატეგიულ სახე-

ობებს რა შეხვდით და არასტრატეგიულებს რაღა უნდა დარჩენოდით. დაჩაგრულთა შორის მძლეოსნობაც აღმოჩნდა. და გადაიარა კაცის საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ თამაზ მდინარაძეზე მოგახსენებთ.



— გამაგებინეთ, ხალხო, რა კრიტერიუმებით დაახარისხეს სპორტის სახეობები — გაკვირვებული კითხულობდა თამაზ მდინარაძე — ან ის მითხარით, რატომამა მძლეოსნობა არასტრატეგიული სახეობაა? აბა, ერთი, ოლევ ბლონის ჰკითხეთ, თავის საუბრით კარიერას სპორტის რომელი სახეობით ჩაუყარა საფუძველი ან უკრაინაში რომ არ გავიქცეთ, ავერ ალექსანდრე მეტრეველს ჰკითხეთ, ჩოუნის მარჯველ ქვედაში დაეხმარა თუ არა მძლეოსნობა? ან ყური დაუდგეთ რომან რურუას, საჭიდაო ხალიჩაზე ციბრუტივიტ ტრია-

ლში რამ შეუწყო ხელი? და კიდევ იტყვიან, მძლეოსნობა საქართველოსთვის არასტრატეგიული სახეობააო. და საერთოდ, მძლეოსნობა ხომ სპორტის სხვა სახეობების საფუძველსა საფუძველია. ეგეც არ იყოს, ჩვენს ოლიმპიადებში, მოჭიდოვეთა შემდეგ, მძლეოსნობაში ყველაზე მეტითარბოვნი მუდღეო აქვთ. თანაც მოჭიდავეებმა მძლეოსნებს ეს პირველობა მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ჩამოართვეს, მანამდე კი ისინი თითქმის ყველა ოლიმპიადიდან მედლით ბრუნდებოდნენ. ბოლო დრომდე საქართველო, ოლიმპიურ მედალოსანთა რაოდენობით, ხუთ მილიონამდე მოსახლიან სახელმწიფოთა შორის მთელს მსოფ-

ლიოში პირველი იყო. ახლა კენია მორეზე ჩამოგვაკექითა. ან რატომ არ უნდა ჩამოვკექითებიანთ, როცა კენიელებს მძლეოსნური სექტორებით აღჭურვილი სამი მშენებელი სტადიონი აქვთ, ჩვენ კი ერთი ადარ დაგარა. ერთენულ სტადიონზე ისეთი სარბნი ბილიკები და მძლეოსნური სექტორებია, რომ კაცი კისერს მოიტუხს და იქაურობა ტანკოლდომად თუ გამოვსება. — მითხრავთ ამისა, ატლანტიკაშიც და სინდნიშიც ორი-ორი ოლიმპიელი მძლეოსანი გვაყვდა. კი მაგრამ, ეს როგორაა მოახერხეთ? — მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის დახმარებით. ეს ორგანიზა-

ცია ინტენტირითაც გვეხმარება და ფინანსურადაც. მსოფლიოს ჩემპიონატებზე სწორედ მისი დაფინანსებით ვმონაწილეობთ. ეგ კი არა, ყველაზე მეტად, მაგნი, ჩვენ გვეხმარება ყოველ შემთხვევაში, 207 ქვეყანას შორის ამ მხრივ მისთვის ერთ-ერთი გამორჩეული ვართ.

— კი მაგრამ, რა დამსახურებისთვის? — რა თქმა უნდა, ძველი დამსახურებისთვის. იქ კენიათ, რომ ჩვენთან კიდევ გაიზრდებიან დიპლომატი, დუმბაძეები, ხნიკინა-დვალისძეები, სანაძები, შავლაყაძეები, შერებინები, დელაროსები, სანევეები, გუნბები, აზარაშვილები...

ასეთ პირობებში, როგორმაც დღეს ვართ, დაიზრდებიან კი არა, მძლეოსნობას სათხოვრებ არაფერაც გაუკარება. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია გეთავაზობს, ამ სახეობის პოპულარიზაციის მიზნით თქვენთან საერთაშორისო ტურნირს ჩავატარებთ. საბოლოოდ ადრით 100 ათას დოლარსაც გამოგიყოფენ, მაგრამ უსტადიონო ქვეყანაში ამის შესაძლებლობა არ გვაქვს. ერთ მშენებერ, უფრო სწორად, უბედურ დღეს ჩვენზე იაფშიც ხელს ჩაიქვევენ.

— მართლაც ძალიან მუქ ფერებში დახატეთ ყოველივე ნუთუ ნათელი წერტილი არ ჩანს?

— ნათელი ისაა, რომ ბოლო ორი წელიწადია, რაც საქართველოში ადარ საუბრობენ მძლეოსნობაზე, როგორც არასტრატეგიულ სახეობაზე. მეტიც, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის განკარგულებით მძლეოსნობა კომპლექსურ ასპარეზობათა, უნივერსიადებობა და სპარტაკიადების პროგრამაში შეიტანეს როგორც საუბრებელ სახეობა. დაფინანსების საკითხიც შედარებით გამოისწორდა. საქართველოს ერთ-ერთი ოლიმპიური კომიტეტი შედარებით პერსპექტიულ სამ სპორტსმენზე და ორ მწკრთონულზე ყოველთვიურად სტიპენდიის სახით 100-დან 150 ლარამდე გასცემს. ამასთან, ბოლო დროს სხვა სახეობათა მწკრთონელებიც გაიხსენეს, რომ მათ აღსაზრდელთა საერთო ფიზიკური მოზადებისთვის მძლეოსნობაში ვარჯიში აუცილებელია და დასახმარებლად გვაკითხავენ, მაგრამ მწკრთონელები სადღა არა. ერთი-ორი კაციც იმედინდა ვართ.

— თქვენი სიტყვებიდან ისე ჩანს, რომ ათენის ოლიმპიური თამაშები იქნება პირველი ამგვარი ასპარეზობა, სადაც მძლეოსნობა არ გვეყოლება. — ღმერთმა დაგვიცავოს. მე მაინც მგონია, რომ უღიცენიოდ არ დავეჩივებით.

— მაინც, ვისი და რისი იმედი გექვს? — ამ ეტაპზე შეიდი სპორტმენი გვაყავს შეგულებული. ესენი არაან მართვის მეკრელები მარამ ქვეყნიშენი, ზურაბ გიგიაი, ურონ ტყეცორევილი ლერი ჩიტირევილი, თარგომიორები ლები დავით ილარიანი, სერგო ტურიაცი, მარათონელი ზიგმუნდ ზილდერმეინი და იულია ღებინა, რომელიც სამხტომაში ოსტატდება. ისინი საქართველოს მძლეოსნთა ნაკრების უფროსი მწკრთონელის ყარამან საბანაშვილისა და რევაზ კობიანიშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ.

— და თქვენ იმედი გექვს, რომ შეიდივე ოლიმპიურ ლიცენზიას მოპოვებენ? — ამისა არც მე მჯერა, მაგრამ არც ისე წახდება საქმე, რომ ორი ლიცენზია მაინც არ მოვიპოვოთ. დღესდღეობით ამის ყველაზე მეტი შანსი აქვს იულია ღებინას, რომელიც 13,22 მეტრზე ხტება, სალიცენზიო ნორმატივი კი 14 მეტრია. ვისაც სამხტომზე ცოტადენი წარბოდგენა აქვს, დამთანხმება, რომ ღებინას ნორმატივამდე უმნიშვნელო მანძილი აშორებს, რისი დაძლევეც გაიხსამდე სრულიად შესაძლებელია.

— დავით ილარიანის სადღეისო შედეგი 110 მეტრზე თარგომიონეში 13,8 წამია, სალიცენზიო ნორმატივი კი ელექტროწამომით — 13,85. ვფიქრობ, მიულწველი არც ეს შედეგი უნდა იყოს. სერგო ტურიაციოს იმავე სახეობაში 400 მეტრზე ნორმატივამდე 8 მეტრე წამი აშორებს, მარამ ქვეყნიშენის კი ბირთვის კერაში 1,5 მეტრია...

— ზურაბ გიგიაიზე დიდ იმედებს ამყარებდით მას მერე, როცა შარშინის ვერობის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ღებებზე ბირთვის კერაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რითაც საქართველოში გულშემატკივრებს მძლეოსნობა შეახსენა.

— სამწუხაროდ, გიგიაი დავკვიმვედა და ვერჯერობით არ ვარჯიშობს. — ჩვენს რომელიღაც კისრისმოსატუნ სტყორცნ სექტორში დაშავდა? — თბილისის ერთი-ერთ ქუჩაზე ჰის სახურავი მოუპარავთ და ღამით მოსავალი შიგ ჩავარდა. — კი მაგრამ, თქვენი მძლეოსნები ამ უბაზო ქვეყანაში სალიცენზიო ნორმატივებს ასე როგორ მიუახლოვდნენ? — რაკი აქ ვარჯიში შეუძლებელია, ზოგს სად ვვხვებით შეკრებაზე და ზოგს სად. აი, ახლაც ღებინა მოსკოვში სამკვირიანი შეკრებიდან დაბრუნდა, ილარიანი და ტურიაცი კი რიგამი თვენახევი იყვნენ.

ამთანდელ ხმობილი აეტორის ფოტო

ამნისტია: ვაზაგაშვილი საქართველოდან გაუშვას რა ტატამი, რი ტატამი, ამნისთანა კაცი მიჰყავთ...

ათენი. 2004 წელი. ოლიმპიური თამაშები. ძიუდოისტთა ტურნირი. დავით მარგოშვილი (საქართველო) — გიორგი ვაზაგაშვილი (საბერძნეთი)...

ამგვარი ნინანსარმეტყველება შესაძლოა აგვიხდეს. ყოველ შემთხვევაში, ვერ კიდევ გორელი გიორგი ვაზაგაშვილი, რომელიც გახლავთ სიდნიის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი, მსოფლიო ჩემპიონატების მეორე და ორგ ზის მესამე პრიზიორი, აგრეთვე ევროპის ორგ ზის ჩემპიონი და მრავალგ ზის პრიზიორი, სხვა საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული, შესაძლოა სულ მთლედ ვაზაგაშვილისი ან რაღაც ამგვარი გახდეს და ბერძენთა სახელით იასპარეზოს. ამის თაობაზე საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ვანო ბაგრატიონს თხოვნი მძმართა მისმა ბერძენმა კოლეგამ ლამბის ნიკოლაუმ, რომელიც იმადროულად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრიცაა

„საბერძნეთის ძიუდოს ფედერაციამ საბერძნეთის ოლიმპიურ კომიტეტს აცნობა ბერძნული წარმომადგენელი საქართველოდან გიორგი ვაზაგაშვილის თხოვნა, რათა გამოვიდეს საბერძნეთის სახელით ათენის 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. უმორჩილესად გთხოვთ, მიიღოთ ვაზაგაშვილის თხოვნა და ნება დართოთ მას, გახდეს საბერძნეთის ძიუდოს ოლიმპიური გუნდის წევრი და შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღოს საბერძნეთის სახელით.

წინასწარ დიდ მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისთვის“ — წერს ლამბის ნიკოლაუ ვანო ბაგრატიონს.

ამ წერილის შინაარსი გუმინ გაცხადდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე, სადაც სხვა მრავალთნ ერთად ვაზაგაშვილთან დაკავშირებული საკითხიც განიხილეს.

გავრკეა, რომ იმავე საკითხზე მანამდე იმჯველა საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ, რომლის პრეზიდენტსაც მისმა პრეზიდენტმა დილარი ხაბულიანმა თურმე მეთედ მძმართა თხოვნი, გამოუქვათ თავიანთი მოსაზრება ვაზაგაშვილის საბერძნეთის სახელით ასპარეზობის თაობაზე. პრეზიდენტის სხდომაზე, როგორც დილარ ხაბულიანი ვანო ბაგრატიონისადმი გავზენიდ მიმართვაში წერს, „მოსწყინდათ უკვე ამ საკითხზე მსჯელობა“ და 70 პროცენტმა გადაწყვიტა ვაზაგაშვილი საბერძნეთში გაუშვან ერთი პირობით — საქართველოს მხარე ამისთვის კომპენსაცია უნდა მიიღოს.

როგორც სეოკის აღმასკომის დადგენილებაში ნათქვამი, სპორტული ოსტატობითა და შედეგებით ერთ-ერთი გამორჩეულ ქართველ ძიუდოისტ გიორგი ვაზაგაშვილს თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის განმავლობაში ჰქონდა კონფლიქტები და უთანხმოებანი ნაკრების ყოფილ და ახლანდელ ხელმძღვანელობასთან, ძიუ-

ოლიმპიზმი

ულის ფედერაციასთან. სიდნიის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ეს უთანხმოება უფრო გამწვავდა და, ფაქტობრივად, შეუღებელი ხასიათი მიიღო. ბოლო სამი წელია, ვაზაგაშვილს მონაწილეობა არ მიუღია არც საქართველოში და არც უცხოეთში გამართულ ასპარეზობებში.

ვაზაგაშვილის ადრინდელი მექარა უცხოეთში წასვლის თაობაზე მისივე სიტყვებით, „თავისი ისტორიული სამშობლოს“ — საბერძნეთის სახელით გამოისვლის დაქინებულ მოთხოვნაში გადახარდა. არ ვიცით, ვაზაგაშვილისთვის საბერძნეთი სადინ და როგორ არის „ისტორიული სამშობლო“, მაგრამ რაკი კონფლიქტი ვედარ მოგვარდა, საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ ვაზაგაშვილს ამის ნება მისცა და საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსაც მიმართა თხოვნით, რათა ვაზაგაშვილი საბერძნეთის გუნდის წევრი გახდეს. სეოკმა გადაწყვიტა ამ თხოვნის დაკმაყოფილება და როცა ამ გადაწყვეტილებას იღებდა, „გათივალი-სწინა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწკრთონელის შოთა ხაბარელის განცხადება მის თაობაზე, რომ ნაკრებიდან ვაზაგაშვილის წასვლა მოხდა უმტკივნეულოდ და მის წინით კატეგორიულად ჩვენს ქვეყანას ჰყავს ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის ლიცენზირებული სპორტსმენი, ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის მეორე პრიზიორი დავით მარგოშვილი.

სეოკის აღმასკომმა გაითვალისწინა, რომ ვაზაგაშვილის საბერძნეთის სახელით გამოისვლის უფლების გაქვმასთან დაკავშირებით საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელობამ დააყენა საკითხი საბერძნეთის ძიუდოს ფედერაციის წინაშე ორივე მხარისთვის მისაღები ფორმით შესაბამისი კომპენსაციის შესახებ.

სეოკის აღმასკომის სხდომაზე დაინტერესდნენ, თუ ჩვენი ძიუდოს შესვეურები მაინც რას ვარაუდობენ კომპენსაციაში. აღმოჩნდა რომ ეს შესაძლოა იყოს ქართველი ძიუდოისტებისთვის სა-



გიორგი ვაზაგაშვილი

ბერძნეთში შეკრების ჩატარება ან, ვთქვათ, ოთხი ტატამის გადმოყვამ. თუ გაითვალისწინებთ, რომ ერთი ტატამი დაახლოებით 6 000 დოლარი ღირს, მაშინ გამოდის, რომ ვაზაგაშვილს, ფაქტობრივად, ბერძნებს ჩუქნიან, რაკილა ოლიმპიური თამაშების ერთი მონაწილის ვაზრდა, რომ აღარავფერი ვთქვათ მედალოსანსა და ჩემპიონზე წარმოუდგენლად მეტი ჯდება, რაც საქართველომ უკვე გაიღო.

ამთანდელ ხმობილი აეტორის ფოტო


პაქების გეგმა



არსენიები და არგენტინელები



ლეიტონ პიუიტი



ანდრე აგასი

გეგმა ვინაშს სადავოდ ეჩვენოს, მაგრამ ჩვენი აზრით, სადავო აქ არაფერია — კაცთა ჩოგბურთის ამჟამად ორი გამორჩეული ლიდერი ჰყავს და თუკი ვინმეს ორი კვირის შემდეგ როლანდგაროსულ ფინალში მოველით, ეგ — სწორედ მათ.

მაგრამ საქმეში ჩახედული ხალხი ფიქრობს, რომ ამჟამად პირველ-მეორე მქონეთ — ლეიტონ პიუიტსა და ანდრე აგასის სასლემფინალოდ დაპირისპირება ვერც ამ ჯერზე უნდა მოუხდეთ.

პიუიტი ამჟამად ყველაზე გაუტეხელი, კისკისი და ცეცხლოვანი მოაქერა, მაგრამ სწრაფსაფარა კორტებს გაჩვეული ნელ თიხნარს სათანადოდ ვერ ჰკუთნის და აქამოდელ ოთხ როლანდგაროსობაზე მხოლოდ ერთხელ, 2001 წელს გაატანა უკანასკნელ რეაქციას.

რაც შეეხება აგასის, მას ტურნირი 1999 წელს მოუგია და ერთი იმ ხუთ დიადთაგანი გახლავთ, ოთხსავე სლემტურნირზე გამარჯვება რომ დაიკვებინა. მაგრამ მის სიბრძნესა და გენიალობას ერთი არცთუ უმნიშვნელო დაბრკოლება ელოდება — მისი 33 წელი, რამაც ჯადო არმენიაში იკვლევს ავსტრალიის წლებადღეს ღია პირველობაზე კარიერის მე-8 სლემტურის მოხვეჭაში ჩოგანი კი ვერაფრით შეუძალა, მაგრამ რა წამს უყვლებს, არაფერ იცის.

თუმცა თავად მქონენ იმედინადაა: „მე უკვე სიმწიფის იმ სტადიაზე ვარ, როცა ფონს გასკლა მხოლოდ გამოცდილებითაც შეიძლება. არადა, როგორც წესი, ამხელა გამოცდილები მქონენი უკვე აღარ თამაშობენ ხოლმე.“


„ჩემი სხეული ჯანზეა, გონება მკვირცხლობს და გამარჯვების იშტა ჯერაც არ გამეღებია. ასე რომ, ვნახოთ, წინ ბარაქიანი ჩოგნაობა გველის.“

პიუიტი აგასიზე II წლით უმცროსია და, შესაბამისად, თიხნარზე II სეზონით ნაკლები გაუტარებია. ამიტომაც მისგან განსხვავებით უფრო ფრთხილად საუბარს არჩევს: „თიხნარს მეტად უნდა გავეჩვიო. მაგრამ ჩემთვის ეს გამოწვევაა, მე კი მიყვარს გამოწვევები... შევძლებ ოდესმე როლანდგაროსის მოგებასა და თიხნარზე თამაშის დამუდამებას? აზრზე არა ვარ, თუმცა ის კი ნაღდად ვიცი — უბრძოლველად არაფერს დაეთმობ.“


საოცნებო ფინალისკენ მიმავალ გზაზე პიუიტსა და აგასის უმთავრეს მეტოქეებად ჯიშად მეთიხნარე ესპანელები, არგენტინელები, ბრაზილიელები და ნილელები დაუხვდებიან.

უკანასკნელად ხანგრძლივად მოგლაჯუნეთა ამ ერთფეროვან ლეგიონს შარშანდელი ფინალისტი, 2000-01 წლების ნახევარფინალისტი ხუან კარლოს ფერერი და ტურნირის 1998 წლის ჩემპიონი კარლოს მოია უყოჩებენ.

ფერერომ წლეულს მონტეკარლოურ ზეპურ თიხნარსა და ვალენსიურ ისერა ტურნირზე იმარჯვა, 22 თიხნარმატჩში 21 გამარჯვებაც მოიქეჭა და საერთოდაც — მთელი თიხნარსეზონის განმავლობაში საუცხოო ფორმაში იყო. მაგრამ მის საამირიანგაროსო შანსებს ჩრდილი ორიოდ კვირის წინ, რომელ მასტერსნახევარფინალში მიაღდა, რომე-



გილერმო კორია




ალბერტ კოსტა

როლან ბაროსის ჩემპიონები 1961 — 2002




როდ ლეივერი

1975	ბიორნ ბორგი
1976	ადრიანო პანატა
1977	გილერმო ვილასი
1978	ბიორნ ბორგი
1979	ბიორნ ბორგი
1980	ბიორნ ბორგი
1981	ბიორნ ბორგი
1982	მათს ვილანდერი
1983	იანიკ ნოა
1984	ივან ლენდლი
1985	მათს ვილანდერი
1986	ივან ლენდლი
1987	ივან ლენდლი
1988	მათს ვილანდერი



ივან ლენდლი

1961	მანუელ სანტანა
1962	როდ ლეივერი
1963	როი ემერსონი
1964	მანუელ სანტანა
1965	ფრედ სტოლი
1966	ტონი როჩი
1967	როი ემერსონი
1968	კენ როზოლი
1969	როდ ლეივერი
1970	იან კოდემი
1971	იან კოდემი
1972	ანდრეს ჰიმენო
1973	ილია ნასტასე
1974	ბიორნ ბორგი



ბიორნ ბორგი

1989	მაიკლ ჩანგი
1990	ანდრეს გომესი
1991	ჯიმ კურიე
1992	ჯიმ კურიე
1993	სერხი ბრუგერა
1994	სერხი ბრუგერა
1995	ტომას მუსტერი
1996	ევგენი კაფელნიკოვი
1997	გუსტავო კუერტენი
1998	კარლოს მოია
1999	ანდრე აგასი
2000	გუსტავო კუერტენი
2001	გუსტავო კუერტენი
2002	ალბერტ კოსტა

რა ბაბაქოებს სერენას?

მან ზედიზედ ოთხივე სლემტიტული მოიგო, ისტორიაში ისეთ ლეგენდარულ ქალთა გვერდით დაივანა, როგორებიც მორინ კონოლი, მარგარეტ კორტი, მარტინა ნავრატოლოვა და შტეფი გრაფი არიან, „უქალბატონოდ“ მას მსოფლიო საჩოგნოთში ხმას ვერაინ სცემს, მაგრამ ის კვლავაც იმტაზა და სურს, მორიგი სლემტიტულის შთანთქმით თავისი ისედაც მყარი ზოგადისტორიული პოზიციები საბოლოოდ გაამყაროს.

თორმეტი თვის წინ სერენა უილიამსი ჯერაც უფროსი დის, უკვე ოთხჯერ სლემტიტულის ვინუსის ჩრდილში იყო მოქცეული. თიხნარზე სრულყოფილი თამაშით სერენა ახლაც არ გამოირჩევა, ხოლო მამინ მას ტურნირის მთავარფავორიტად საერთოდ არავე თვლიდა.

მაგრამ მერე მოხდა ის, რასაც — თუკი ჩვენი გადასახედიან რეტროსპექტულად გავხედავთ — თითქოს ალტერნატივა არც უნდა ჰქონოდა. მამა რიჩის უმცროსმა შავგომ პარიზული ორკვირეული ჯლივინ-ჯლივინით ჩაირახნა და ფინალში სწორედ თავის უფროს დას სძლია, რათა მას შემდეგ ის კიდევ სამ სლემფინალში დაეწიქებინა.

„მე გაუძღვარი ვარ. მე ვერასოდეს ვემაყოფილებდი — ამბობს ახლა სერენა — მთელი ჩემი ცხოვრება იმაზე ვოცნებობდი, უპირველესი მერგნე გავმდარეოყვი და უმაღლეს ღონეზე მეთამაშა. ამის გაკეთება ადვილი არასოდეს ყოფილა და მე ძალიან მემამყება, რომ ყველაფრის მიუხედავად ამას მაინც მივაღწიე.“

ახლა სერენას წინაშე მორიგი ამოცანაა. მართალია, მან ვერ შეძლო, სეზონის სტარტზე დანაქადები აესრულებინა და მთელი წელი დაუმარცხებლად გეველო, მაგრამ მერე უფრო მთავარი მიზნის შესრულება ვერ კიდევ შესაძლებელია — თუკი ავსტრალიის ღია პირველობაზე გამარჯვებული წლის მომდევნო სამ სლემტიტურნირზეც იპირველებს, კონოლის, კორტისა და გრაფის შემდეგ მეთხუე ქალი გახდება, ოთხივე ბობოლა ტიტული უკვე არა მხოლოდ ზედიზედ, არამედ ერთი კალენდარული წლის განმავლობაშიც რომ მიუნაგრავს.

მისი შეჩერების იმედი პარიზში უწინარესად ისევ ვინუსს და ბელგიურ სუპერწვივოს — მერე ნომრად განთესილ კიმ კლაისტერსსა და მეთხუეჩოგნოსან ფუსტინ ენენ-არდენს ექნებათ.

მაგრამ თუკი ვინუსი ბოლო დროს თავის დასთან მუდამ მარცხდება და ვეღარც საკმარის ბოლმას მოიძიებს, რათა უმცროს დემამიშვილს ისე ეომოს, როგორც მოსისხლე მტერს, პატარა ბელგიელებს ამ მხრივ გარკვეული მიღწევები აქვთ — სერენას წამოქცევა მათ თითო-თითოჯერ მაინც მოახერხეს.

კიმმა, ვინაც ახლახან დათა სარეიტინგსო პირველმეორისნობაც დაარღვია, სერენას შარშან ნომბერში, WTA-ს სეზონდამაგვირგინებელ ტურნირზე მოუგო. ცილა ენენ-არდენმა კი ამქრის მუპირველეს წლის პირველი მარცხი ექვის კვირის წინ, ჩარლსტონის თიხნარტიტურნირზე აგემა.

შეძლებენ ისინი ასევე თამაშები იყვნენ პარიზულ სეფესაჩოგნოთშიც, მოახერხებენ ისინი მძეინარე ბაყბაყედევს კვლავ ისე მარად და თავისუფლად ერკინონ მამინ, როცა მთელი მსოფლიოს ტელეკამერები მათკენ იქნება მიმართული?!

საკითხავიც სწორედ ვკ არის.


ისე კი, ორიოდ კვირის წინ სერენას ჩოგანი აშელი მორესმომაც შეუბრუნა. ეს მათი მეექვსე შეხლა იყო და მამალმა ფრანგმა პირველად შეძლო, უმცროსს შავდას წარმატებით გადაეებოდა.

განსხვავებით კლაისტერსისა და ენენ-არდენისგან, პარიზულ კორტებზე ის უფრო თავდაჯერებულად უნდა გაირჯეს. და იმის მიუხედავად, რომ ბელგიელებთან შედარებით მორესმომ ნაკლებ დახვეწილი და უფრო სუსტი ტაქტიკოსია, სერენას საჯარაულო შემჩერებელთა შორის მისი მოხსენიებაც ეგების.

ლემან კელაურაპი



ღღეჯანღელი ჩოგბურთის შავი აჭყრა — სერენა და ვინუს უილიამსები



როლან ბაროსის ჩემპიონები 1961 — 2002


- 1961 — ენ შეიდონი
- 1962 — მარგარეტ სმიტი
- 1963 — ლესლი ტერნერი
- 1964 — მარგარეტ სმიტი
- 1965 — ლესლი ტერნერი
- 1966 — ენ შეიდონ-ჯონსი
- 1967 — ფრანსუაზ დური
- 1968 — ნენსი რიჩი
- 1969 — მარგარეტ სმიტ-კორტი
- 1970 — მარგარეტ სმიტ-კორტი
- 1971 — ივონ გულაგონგი
- 1972 — ბილი-ჯინ კინგი
- 1973 — მარგარეტ სმიტ-კორტი
- 1974 — კრის ევერტი



მონიკა სელეში

- 1975 — კრის ევერტი
- 1976 — სიუ ბარკერი
- 1977 — მიმა იუსოვეცი
- 1978 — ვირჯინია რუფინი
- 1979 — კრის ევერტ-ლოიდი
- 1980 — კრის ევერტ-ლოიდი
- 1981 — პანა მანდლიკოვა
- 1982 — მარტინა ნავრატოლოვა
- 1983 — კრის ევერტ-ლოიდი
- 1984 — მარტინა ნავრატოლოვა
- 1985 — კრის ევერტ-ლოიდი
- 1986 — კრის ევერტ-ლოიდი
- 1987 — შტეფი გრაფი
- 1988 — შტეფი გრაფი

- 1989 — არანჩა სანჩესი
- 1990 — მონიკა სელეში
- 1991 — მონიკა სელეში
- 1992 — მონიკა სელეში
- 1993 — შტეფი გრაფი
- 1994 — არანჩა სანჩესი
- 1995 — შტეფი გრაფი
- 1996 — შტეფი გრაფი
- 1997 — ივა მაიოლი
- 1998 — არანჩა სანჩეს-ვიკარიო
- 1999 — შტეფი გრაფი
- 2000 — მარი პირსი
- 2001 — ჯენიფერ კაპრიატი
- 2002 — სერენა უილიამსი



მარტინა ნავრატოლოვა



მეცხეობა შვიდთვიანი დაიგადა

მეცხეობით საქართველოს მორიგი ჩემპიონატი, ტრადიციულად, გასული წლის შემოდგომაზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ეროვნულმა ასოციაციამ მიზეზთა გამო ეს ვერ შეძლო. საბუნდევოდ, რიგით მე-13 პირველობა მთლად დანაწესებული არ აღმოჩნდა და მართალია, შვიდთვიანი დაგვიანებით, მაგრამ ორშაბათს მინც გაუღებია გზას.

ამდენხანი შეფერხების გამო, ცხადია, შეიკვეცა შეჯიბრების რეგლამენტი — ხუთი წრის მაგივრად მხოლოდ ორი გაიმართება. უფრო უსიამოვნო ისაა, რომ უძველესი ლეგენდის შედეგად ერთი გუნდით დაიშალა, ერთმანეთს ორი გზისადაზიანებული მონახა და მეზობელ აზერბაიჯანის ჩემპიონატი ჩაება; დანარჩენებს კი, რა გასაკვირია, რომ ვარჯიშის ხალისი წაერთვათ.

ასეა თუ ისე ორშაბათს საქართველოს ტენიკური უნივერსიტეტის დარბაზში საქმობიონ ბრძოლას ექვსი მონაწილე დაიწყებს — ტენიკური უნივერსიტეტის ორი გუნდი, „ოტილისი“, „საუმაშული“, „ქუთაისი“ და „მართვი“.



ჭილბერტო სიმონი

ჯიროს შარშანწინდელმა გამარჯვებულმა, იტალიელმა ჯილბერტო სიმონიმ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დღეს ყველაზე ძლიერი სამთო მობილია.

მე-12 ეტაპის 188-კილომეტრიანი აღმართის ფინიშთან სიმონიმ უახლოეს მდევარ სტეფანო გარბელის მთელი 34 წამით აჯობა, რითაც მან

მთიელი სიმონი ლიდერებს გადაუდგა

საერთო ჩათვლაშიც გაიმყარა პოზიცია და იმავ გარბელის ახლა უკვე 44 წამს უგებს.


ეს მთები ორჯერ დამიდევია და კარგად ვიცობ ტრასის სირთულე ანტიმომთიანი მოცდა ვამდგინე. და შეტევაზე მაშინ გადავედი, როცა ჩემზე წინ მყოფნი დაიძაბნენ. კარგი იქნებოდა, გარბელისთვის უფრო დიდი სხვაობით მომეგო, მაგრამ, მეონი, არც 34 წამია ურიგო. რაც მთავარია, საერთო ჩათვლაში კვლავ პირველი ვარ — განაცხადა სიმონიმ, რომელსაც უახლოეს ხანს ლიდერის ვარდისფერ მასსურას ვერავინ შეეცილება.

გარბელის გარდა მე-12 ეტაპის მთავარზე სიმონის მთავარმეტოქეები იყვნენ: იტალიელები — ფრანკოსკო კასაგრანდე და ოლესლეა დიდი მარკო პანტანი. მათ გარდა სიმონი ახალგაზრდა ესპანელ აიტორ გონსალეს ხიმენესაც უფრო ხოდა, რაკი ამ დღეს სინაუქესთან ერთად მთებზე ცოცხის ნიჭიც დაამდგინა. ხიმენესმა ვერ გამართლა, იგი მხოლოდ მე-9 იყო, თუმცა წლებიანდელ ჯიროზე ეს მისი საუკეთესო შედეგია. კასაგრანდემ მე-3 ადგილზე დაასრულა რბოლა, პანტანი კი თავად არ ელოდა, რომ ფინიშთან მე-5 მივიღოდა. პანტანი: „ეს ჩემთვის სიურპრიზი იყო. ბოლო კილომეტრებზე თავარა მზემ და გაუთავებელმა აღმართებმა ოცელში გამწურა. მეგონა, ფინიშამდე ვერც კი მივიღო“.

ლი, მაგრამ თავს ბოლო ძალა დაეკატხე და ლიდერის ხუთეულშიც გავერიე.“
რაც შეეხება 36 წლის მსოფლიოს ჩემპიონსა და ჯიროს 42 ეტაპის მომგებ მარტიო ჩიპოლინის, მისთვის წლებიანდელი ჯირო დასრულდა. „არც კი ვიცი, როდის დავუბრუნდები რბოლას. მხრის და წენების ტკივილმა დამეხი მათეხნებია. დავუჯერებ ჩემს ექიმს და მის მოვიმუშებ ტრავმებს“ — განაცხადა ჩიპოლინიმ, რომელიც მე-11 ეტაპისას მომხდარ დიდ ავარიასი მოქცევა და მართალია, არაფერი მოუტეხია, მაგრამ სერიოუსულად კი დაშავდა.

ბაიო სვანიძე

ტაქნიკური შედეგები	
მე-12 ეტაპი. 22 მაისი	
სან ლონა — ზონმოლაჰი 188 კმ	
1	ჯილბერტო სიმონი (იტალია, საევი) 5თ 10წ 30წმ
2	სტეფანო გარბელი (იტალია, იონი კალდეროლა) + 346წმ
3	ფრანკოსკო კასაგრანდე (იტალია, ლამპრე) + 396წმ
საერთო ჩათვლა	
1	ჯილბერტო სიმონი 57თ 20წ 18წმ
2	სტეფანო გარბელი + 446წმ
3	ანდრეა ნოე (იტალია, ალესი) + 25წ 23წმ



ბადრი ხასიაი

კლასიკური პერსპექტივა ჯილოზ ბელგრადში, ფიქროზ ათენა

დღეს და ხვალ სერბია-ჩერნიგორიაში ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდებეა ვეროპის ჩემპიონატი ჩატარდება. ტურნირის თვით დედაქალაქი ბელგრადი მასპინძლობს.

საქართველოს ნაკრები წინასავეროპო მზადებას მინსკში, სპორტკომპლექს „სტაიკებს“ გადიოდა. ქართველი მოჭიდებეები ამ ყოველმხრივ კეთილმოწყობილ ბაზაზე კარგადაც მოემზადნენ და ბერძენ და ებრაელ მოჭიდებეებთან სპარინგებიც გამართეს. მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩამ იქვე ჩამოყალიბა ნაკრების საბოლოო შემადგენლობა. გადასწყვეტი მხოლოდ 60 კგ-ში მოასპარევე სპორტსმენის ვინაობა იყო. არჩევანი სიდნის ოლიმპიადის პრიზიორ აკაკი ჩაჩუასა და 2001 წლის ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონ ლაშა ლომიძეს შორის უნდა გაკეთებულიყო. დარჩამ უფრო ახალგაზრდა და პერსპექტიული ლომიძე აირჩია.

ნაკრების დაკომპლექტებისას ნათლად იგრძნობა მომავალი ოლიმპიადისათვის მზადება. ათენისთვის მეტი გამოცდილების მისაღებად ბელგრადიდანვე ამზადებენ რამაზ ნოზაძეს 96 კგ-ში და მირიან გიორგაძეს მძიმე წონაში. ორივე მარშანდელი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონია ახალგაზრდებსში.

შედარებით გამოცდილად შეიძლება ჩათვალოს 2002 წლის აღმოჩენა, მანუჩარ კვიციანი. მსოფლიოს ჩემპიონატზე მას წარბი რომ არ გახეთქოდა, მუხრან ვანტანგაძის დარად კვარცხლბეკის უმადლეს საფეხურს შესწავლებოდა.

55 კგ-ში იტვირთვებს 2001 წლის ევროპის ვერცხლის პრიზიორი ირაკლი ჭოჭუა 74 კგ-ში კი მხოლოდ ოქროს მედლისთვის იბრძობებს ბაშრაში ევროპის საუკეთესო მოჭიდებელ აღიარებული ბადრი ხასიაი. მით უმეტეს, რომ ბელგრადში ტრავმის გამო ვერ იასპარეზებს მისი მთავარი მეტოქე, ოლიმპიური ჩემპიონი სამურგაშვილი რუსეთიდან.

მთლიანობაში ჩვენს ნაკრებში გუნდურ ჩათვლაში სამუელში მოხედავას ისახავს იმზება.
შოთა კოკალიშვილი


როგორც ძველი „გოზაჰი“ დაწვიმახულ სოფლის გზაზე სუპერმარკეტარანი მამრად ბუქსარობს

FIA როგორც იმხა, საშველი და დეა „მაკლარენ-მერსედესის“ ახალი ბოლიდის გამოჩენას. „ვერცხლისფერი ისრების“ კონსტრუქტორები თვლიან, რომ „მაკლარენ MP4-18“ რეგულიციური მოდელია, რომელსაც ძალა შესწევს, არაერთი გამარჯვება მოიპოვოს და ფერადელოთა პევემონია შეარყიოს. აეროდინამიკის მხრივ კორპუსში უამრავი ცვლილება შეინიშნება, რამაც აბსოლუტურად ახალ, გამძლიერებულ „ილმორ მერსედეს-ბენც FO110P“ მრავასთან ერთად „მაკლარენს“ საჩემპიონო კონკურენტუნარიანობა უნდა დაუბრუნოს.

„სუპერფერარის“ სავარაუდო სუპერკონკურენტის სარბოლო დებიუტამდე ჯერ თვეზე მეტია. ეს დრო, ცხადია, სატესტო გამოცდას მოხმარდება და „მაკლარენს“ სათადარიგო მძღოლი ალექს ვურციცი საფრანგეთში, პოლ რიკარის სახელობის ტრეკზე ენერგიულად შეუღდა საქმეს. ამბობენ, ავსტრიელი პირველ დღეს ბევრად მეტის გაგლას აპირებდაო, მაგრამ 17 წრის მერე გააჩერა მანქანაო მიზეზი პიერდავილიკური პრობლემები გაგზარდა, თუმცა სხვა წყაროებით ყველაფერი რიგზე იყო, ყველა სისტემა უნაკლოდ მუშაობდა.

ვერც მორე დღე გამოდგა სახირო. ვურციმა მხოლოდ ათჯერ შემოუჭროლა ტრასასა და იმულებული გახდა, ვარჯიში შეეწყვიტა, რადგან გავარჯარებულ გამოსაბოლოქე მიღებთან ძარის შეხების ადვილს ნაპერწკლები სცვიოდა.

ვერცხლისფერების ძირითადი პილოტები დევიდ კულპარდი და კიმი რაიკონენი ახალი ბოლიდის საჭეს მოგვიანებით მიუხსნებიან, რადგან სადღესოდ იქვე „პოლ რიკარზე“ ძველით ემზადებიან მონაკოს დიდი პრიზის გათამაშებისთვის. ცნობისთვის, კულპარდის „ბუბერმა“ ვურციცი ოთხი




ალექს ვურციცი ახალთახალ „მაკლარენს“ საფრანგეთში ხედნის

წამით უკეთესი დრო აჩვენა. ორი სიტყვით მევე ამბავზე: როგორც მოსალოდნელი იყო, გაირკვა, რომ გასულ კვირას ავსტრიაში რბოლისას მიხალ შემუბხერის ბოლიდში მცირე ხანძრის გაჩენის მიზეზი ყოფილა

ბენზინის ჩასასხმელი ავერეგატის გაუმართაობა და არა ტექნიკოსანლის რომელიმე წვერის შეცდომა. ალბებულა შლანგის ჰაერსატარში დაჩენილი საწვავის საბედნიეროდ, ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდა.

აი, მამა, აი, შვილი, აი, მამა-შვილი



ვევრესტე ასული პირველი მამა-შვილი უნირო მორა და მისი ვაფი გოტა

დედამინის უმადლეს მწვერვალ ვევრესტეზე (8 848მ) პირველასელის 50-წლიანი იუბილის დღეებში მის ფერდობებზე და მისაღობებთან უამრავი მთამსვლელი და თავგადასავალია სხვა მრავალი მამიბებელი ჩაედა. იქვე არიან ის მთამსვლელიც, რომლებიც სხვადასხვა დროს ასულან ამ ბუბებრაზე. მათ შორის ვხედავთ ვევრესტე პირველმსვლელი ინგლისელთა ექსპედიციის ახალზელანდიელ წვერს, ედმუნდ ჰილარისაც, რომელიც ნეპალში მუღულესთან ერთად ჩაედა. იქვე არის ედმუნდის შვილიც პიტერ ჰილარიც, რომელმაც მამის ნაკვალევი ორჯერ 1990 და 2002 წლებში თავიდან ბოლომდე გაიარა.

წლებიანდელი სეზონი ვევრესტისთვის იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ დედამინის უმაღლეს წერტილზე, ამ მწვერვალის ისტორიაში პირველად მასზე ერთდროულად ფეხი შედგა მამა-შვილმა, იანონგლებმა უიჩირო მიურამ და მისმა შვილმა ვოტამ. მამა, რომელიც ახალგაზრდობაში პროფესიონალი მთხილამურე იყო, მწვერვალზე 70 წლისა ავიდა და გახდა მსოფლიოში უხსესი, რომელმაც დედამინის სახურვიდან გაღმიივდა.



ვევრესტის პირველამყარობი ედმუნდ ჰილარი ამ ბუბებრაზის ქვეყანაში ჩასულა

REUTERS ფურბანოვან



REUTERS ფურბანოვან

მატჩის დღე

სამხრეთ აფრიკას ინგლისის საფეხბურთო ნაკრები სტუმრობდა და ეს არ იყო უბრალო სტუმრობა, რადგან ინგლისი მხარს უჭერს სამხრეთ აფრიკას იმაში, რომ სწორედ ამ ქვეყანამ უმასპინძლოს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს ფეხბურთში. ამხანაგური მატჩის დღეს დურბანის აბსა-ს სტადიონზე ყველაფერი ბევრი იყო, ამგდები აფრიკული ცეკვებიცა და დამამშობმინებელი აფრიკული ავტომატებიც.



ირსუბა

ჩხუბი მაგდის ჩოგბურთშიც მოსულა. ამბავი პარიზში ხდება: მამაკაც წყვილთა ფინალში სამხრეთ-კორეელები 7:5 უგებდნენ პონკონგელებს, ამ უკანასკნელთა მწვრთნელის, ჩენ იანგპუას (მარცხნივ) დებოშმა კი მატჩი შეწყვიტა. ჩენმა ჩათვალა, რომ მხაჯმა არასწორად მიაკუთვნა ქულა კორეელებს.




REUTERS პარიზი



REUTERS კალენოვან

ბატონას წრეპლი

ასეა, როცა საყვარელ საქმეს ეთხოვები: კანადელი ჩქაროსანი მოციგურავე კატრიონა ლე მეი, რომელიც 23 წელიწადს იდგა ყინულზე, რვა მსოფლიო რეკორდი დაამყარა და ორჯერ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, ამიერიდან პენსიანა და ცრემლით არბილებს გამოთხოვების წუთებს თავის უკანასკნელ პრესკონფერენციაზე.



შახშახი

გერმანია
ჩრდილოეთ რეგიონალური XXXII ტური
იურდინგანი 2:1 ასანი
ლევინგენი (მ) 2:2 პაპუნი (მ)
კიოლნი (მ) 1:1 დინაო
სამხრეთ რეგიონალური XXXVI ტური
ზიგანი 0:1 პოფანაიმი
ბრუნო 1:2 ოფანაიმი
პოლანდია
მეორე დივიზიონი XXXIII ტური
ვენიცია 0:5 პარაჟსი
ვენიცია 0:0 პოლონი
დენ ბოსნი 4:1 მასტრინი
დორდინი 1:2 სიტარნი
პოლონი 3:1 ონი
იგლნი 10:0 კაპუნი
საბარა 3:1 ენდოპონი
ვენიცია 0:3 დენ პაპი

საფრანგეთი
მეორე დივიზიონი XXXVIII ტური
ბოვი 0:1 მატონი
კრეტი 2:0 ნანსი
ლა მანი 1:1 აბინი
ლორიანი 3:0 რიბსი
მეცი 4:0 მანიონი
ნიორი 3:2 პოლონი
სანტ პიერი 2:1 ბრანდონი
ტულუზი 1:0 ისტრი
პალანსი 0:0 კაპნი
პასკალი 0:1 ლავალი
პორტუგალია
ლიგა XXXIII ტური
გიმარაუნი 0:2 ბეირა მარი
უგუატი
თანსი 1/6 ფინალი
იორბიტა 3:0 პალსინგოზი

სარბიელი
საორტული გაზაფთი
გააოცდა 1990 წლის
28 დეკემბერიდან
გააოცდა სამაგათს,
ოთხმაგათს, ხუთმაგათს,
პარასკეპს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოთაბერიძე
ლიტერატორი ბიორგი ოპროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრაიანი
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ბუბუაძე
ქართული ფეხბურთის რედაქტორი დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, მამუკა კვანტლანი, პაატა კვანტლანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი:
გიორგი ლარჯანი, ილია ბაბუნაშვილი, სვიტლანა გუგუშვილი,
გიორგი ლარჯანი, გიორგი ვაშაყიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი,
ლევან კვლავაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორექტორი: გერმანიის ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღენუაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გულუტაშვილი, თამაზ
გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა
დევიაძე, ფატი დვლიანი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენ-
გიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarblieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarblieli.com.ge>